დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ელექტრონიკა და კომპიუტერული ინჟინერია

ბაკალავრიატი

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 06.05.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი -13.06.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 7

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 7

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 13

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 16

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 18

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 22

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ხაჩიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ელექტრონიკა და კომპიუტერული ინჟინერია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Electronics and Computer Engineering
უმაღლესი განათლების საფეხური	I (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი Bachelor of Electronic Engineering
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია Electronics and Automation
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №49, 18/07/2017
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შეფასების მიზნით შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ (შემდგომში - დაწესებულება) მიერ წარმოდგენილ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „ელექტრონიკა და კომპიუტერული ინჟინერია“ (შემდგომში - პროგრამა) 2017 მიენიჭა აკრედიტაცია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №49, 18/07/2017).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის მოყვანის პროცესში პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, ასე, მაგალითად, შეიცვალა: პროგრამით მისანიჭებელია კვალიფიკაცია (აკრედიტაციის ეტაპზე იყო - 04 ინჟინერიის ბაკალავრი; შესაბამისობაში მოყვანის შემდგომ - 0714 ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი), პროგრამის მიზნები, პროგრამის შედეგები (მათ შორის, მოხდა მათი ფორმულირება ახლანდელ დროში აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით), პროგრამის სტრუქტურა. უცვლელად დარჩა პროგრამის დასახელება („ელექტრონიკა და კომპიუტერული ინჟინერია“).

წარმოდგენილი პროგრამის ძირითადი მახასიათებლებია:

- პროგრამის სტრუქტურა - ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი და თავისუფალი კომპონენტი;
- პროგრამის მოცულობა - 240 ECTS-ის კრედიტი (1 ECTS-ის კრედიტი = 25 სთ), რაც ნაწილდება შემდეგნაირად: 1) ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი - სულ 199 კრედიტი, მათ შორის სავალდებულო სასწავლო კურსები და საბაკალავრო ნაშრომი (სულ 170 კრედიტი), არჩევითი სასწავლო კურსები და „სპეციალობის პროექტი“ (სულ 29 კრედიტი); 2) თავისუფალი კომპონენტი - სულ 41 კრედიტი, მათ შორის საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები (20 კრედიტი), საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები (15 კრედიტი), „თავისუფალი კრედიტები“ (6 კრედიტი).
- სწავლების ენა - ქართული;
- სწავლების ხანგრძლივობა - 4 აკადემიური წელი (8 სემესნტი); დამატებითი - არაუმეტეს 4 სემესტრისა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილეს ბრძანებით (MES 460087 - (27/04/2023) შექმნილ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს (მანანა ხაჩიძე, თავმჯდომარე; თამარ გვიანიშვილი, წევრი) დაევალა შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ (შემდგომში - დაწესებულება) მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლა და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრონიკა და კომპიუტერული ინჟინერია“ (შემდგომში - პროგრამა) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა, აღნიშნულზე დასკვნის შედგენა და ცენტრში წარდგენა. ექსპერტებს მიეწოდათ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, რომელიც ექსპერტებმა შეისწავლეს დამოუკიდებლად, შემდგომ კი მოხდა მიგნებების ურთიერთგაცვლა, შეფასების შედეგების საბოლოო შეჯერება და წინამდებარე დასკვნის ჩამყალიბება.

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შეფასებისათვის განხილულია პირველი და მეორე სტანდარტი სრულად და მეოთხე სტანდარტის 4.1. ქვესტანდარტი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

<u>I სტანდარტი</u> (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, კერძოდ:

1.1 პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

1.5 სასწავლო კურსი/საგანი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

<u>II სტანდარტი</u> (სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია შესაბამისობაშია.

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.4. სტუდენტების შეფასება - შესაბამისობაშია შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

<u>IV სტანდარტი</u> (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) - შეესაბამება მოთხოვნებთან. კერძოდ:

4.1 ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
  - არ არის.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - მიზანშეწონილია მიზნების ჩამონათვალში მოხდეა პირველი და მესამე პუნქტების ადგილშენაცვლება;
  - მიზანშეწონილია შედეგების ნაწილი (#1, #5, #6, #7) არ იყოს წარმოდგენილი გამსხვილებული სახით, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის კონკრეტული კომპონენტის სწავლის შედეგის შეთანადება პროგრამის სწავლის შედეგთან.
  - მიზანშეწონილია გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა სწავლების პირველი-მეორე წელს გათვალისწინებული დარგობრივი სასწავლო კურსებითვის;
  - მიზანშეწონილია მოხდეს რიგ შეთხვევაში გამოყენებული შეფასების ქულათა ბიჯის „0.1“ გამსხვილება

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]: -**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე: -**

დაწესებულება სრულად იზიარებს ექსპერტების შეფასებას.

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): -**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში, კერძოდ

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრონიკა და კომპიუტერული ინჟინერია“ (შემდგომში - პროგრმა) მიზნები ჩამოყალიბებულია სამ პუნქტად.
პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა, მიიღოს ელექტრონიკისა და ავტომატიზაციის სფეროს ფართო ცოდნა, რაც კვლევითი ხასიათის პროგრამებით ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა ან/და მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის;
- სტუდენტმა მიიღოს მათემატიკის, ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის ფუნდამენტურ თეორიებსა და პრინციპებზე დაფუძნებული ცოდნა, რაც მას ელექტრონული და კომპიუტერული სისტემებისა და მოწყობილობების დაგეგმვის, პროექტირებისა და განვითარების შესაძლებლობას მისცემს;
- მოამზადოს მაღალი დონის, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები იმ ფართო თეორიული ცოდნით და პრაქტიკაზე ორიენტირებული, ტრანსფერული უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია თანამედროვე ელექტრონიკისა და ავტომარიზაციის სფეროში პროფესიული საქმიანობისათვის.

წარმოდგენილი მიზნები ითვალისწინებენ დეტალური სფეროში (0714) გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს (0714.1.1 ელექტრონული ინჟინერია / Electronic Engineering) თავისებურებებს და შესაბამისობაშია საგანამანთლებლო პროგრამის საფეხურთან.
თუ ჩავთვლით, რომ მიზნების ჩამონათვალი (თანმიმდებრობა) მიზნების პრიორიტეტების განმზღვრელია, უმჯობესი იქნება მათი თანმიმდევრობის შეცვლა - მესამე პუნქტის და პირველი პუნქტის ადგილშენაცვლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია მიზნების ჩამონათვალში მოხდეს პირველი და მესამე პუნქტების ადგილშენაცვლება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგი წარმოდგენილია 8 შედეგად, პროგრამის კურიკულუმში მითითებულის თანახმად კურსდადამთავრებული:

1. აღწერს ელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის ძირითად კონცეფციებს. მათემატიკის, ფიზიკის და ინჟინერიის ფართო თეორიული ცოდნის საფუძველზე ხსნის სფეროს თეორიულ ასპექტებს.
2. აღწერს კომპიუტერული სისტემის და ქსელის მუშაობისა და უსაფრთხოების პრინციპებს.
3. კომპლექსური საინჟინრო ამოცანების გადასაჭრელად ახდენს ელექტრო-ტექნიკური სისტემისა და პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავებას, შერჩევას და გამოყენებას.
4. ეფექტურად იყენებს ელექტრონული და კომპიუტერული სისტემების მოდელირების თანამედროვე ინსტრუმენტებს.
5. ახორციელებს მიკროპორცესორების, მიკროკონტროლერების და სასიგნალო პროცესორების დაპროგრამებას. პრაქტიკაში იყენებს პროგრამირების უახლეს მეთოდებსა და ტექნოლოგიურ საშუალებებს.
6. არჩევს საკომუნიკაციო სისტემების გამოყენების არეალებს და აფასებს საკომუნიკაციო სისტემის გამოყენების შესაძლებლობებს. საკომუნიკაციო სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით იყენებს სტანდარტულ და თანამედროვე საშუალებებს და მეთოდებს.
7. აფასებს განვითარებაზე ორიენტირებულ სწავლის პროცესს, პროფესიული ცოდნის მუდმივად განახლებისა და ახალი ცოდნის მიღების აუცილებლობის მნიშვნელობას, ახორციელებს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას.
8. აფასებს და სხვებს უზიარებს ელექტრონულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ ღირებულებებს, ეთიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობას.

პროგრამის სწავლის შედეგები შინაარსობრივად ასახავენ იმ კომპეტენციებს, რომლებსაც უნდა ფლობდეს ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი, თუმცა შედეგების ნაწილი (#1, #5, #6, #7) წარმოდგენილი გამსხვილებული სახით, რაც არ ქმნის მკაფიო სურათს პროგრამის კონკრეტული კომპონენტის სწავლის შედეგის შეთანადებაში პროგრამის სწავლის შედეგთან.
მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა ასახავს მათ ლოგიკურ და მიღწევად ურთიერთკავშირს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია შედეგების ნაწილი (#1, #5, #6, #7) არ იყოს წარმოდგენილი გამსხვილებული სახით, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის კონკრეტული კომპონენტის სწავლის შედეგის შეთანადება პროგრამის სწავლის შედეგთან.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „ელექტრონიკისა და კომპიუტერულლი ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა, მაგ.: სწავლის შედეგებზე დაკვირვების მეთოდოლოგია, მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიმართება და მათი მიღწევის შეფასების დონეები, სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები და პროგრამის სწავლის შედეგებზე დაკვირვების გრაფიკი, რომელშიც მითითებულია პროგრამის თითოეულ შედეგზე დაკვირვების პერიოდი (I / II / III / IV აკადემიური წელი). ზემოთ მითითებული დოკუმენტის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება:

- არაპირადპირი შეფასების მეთოდები - მოიცავს ისეთი ასპექტების შესწავლას, როგორიცაა, მაგ., პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების დინამიკა, პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, პროგარამაზე მობილობის მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკა, მათ შორის სპეციალობის მიხედვით, დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კუსრდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვის/მოსაზრებების შესწავლის შედეგები. ამ მაჩვენებლებზე დაკვირვება ხორციელდება ყოველწლიურად და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით იგეგმება შემდგომი განვითარების ეტაპები და რეაგირების გზები.
- პირდაპირი შეფასების მეთოდები, რაც გულისხმობა მაგალითად დაკვირვებას პროგრამის კომპონენტების სტუდენტების მიერ ათვისების მაჩვენებლებზე და სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებზე პროგრამის საწვლის შედეგებთან მიმართებით და სტატისტიკური მეთოდის გამოყენებას - შესწავლას ექვემდებარება სავალდებულო სასწავლო კურსები 4 წლიანი ციკლის განმავლობაში. პროგრამის კომპონენტით დაგეგმილი შედეგები ითვ-ლება მიღწეულად, თუ პროგრამის თითოეული სავალდებულო კომპონენტისთვის აკადემიური

მოსწრების შედეგების მიხედვით ჯგუფის (ჯგუფში არანაკლებ 10 სტუდენტი) საშუალო ქულა არანაკლებ 70%-ია. სასწავლო კურსზე ერთზე მეტი ჯგუფის არსებობისას, შედეგი გამოითვლება ჯგუფების საშუალო არითმეტიკული ჯამური სიდიდით. სწავლის შედეგების მიღწევაზე დაკვირვება გულისხმობს თითოეულ სასწავლო კურსის შედეგის მიღწევის შესწავლას (განისაზღვრება შეფასების რომელი კომპონენტებით ფასდება თითოეული მათგანი, მაგალითად, ქვიზით, ტესტირებით, შუალედური გამოცდით, რეფერატით, პრეზენტაციით, დასკვნითი გამოცდით და სხვა.). პროგრამის თითოეული შედეგების მიღწევის შეფასებისთვის წინასწარ განსაზღვრულია შეფასების ინდიკატორები და შეფასების დონეები („სრულყოფილი“, „კარგი“, „დამაკმატოფილებელი“, „არადამაკმაყოფილებელი“), მითითებულია ქულობრივი მავენებლები და შეფასების დესკრიპტორები. პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენება სამიზნე ნიშნულები, რაც გულისხმობს თითოეული შედეგისთვის მის ფორმირებაში მონაწილე პროგრამის სავალდებულო კომპონენტის განსაზღვრას და შესაბამისი რიცხობრივი მაჩვენებლის დადგენას (მაგ., პროგრამის შედეგი მიღწეულია, თუ ამ შედეგის ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტის შემსწავლელი სტუდენტთა ჯგუფის საშუალო ქულა არის 70 % და მეტი).

ზემოთ მითითებული მექანიზმები იძლევა პროგრამის შედეგების შეფასების შესაძლებლობას.

პროგრამის კურიკულუმს ერთვის „პროგრამის სწავლის შედეგების რუკა“, სადაც მითითებულია პროგრამის სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგის ურთიერთმიმართება პროგრამის სწავლის შედეგთან და მათი მონაწილეობის დონე პროგრამის შედეგების ფორმირებაში („გაცნობა“, „გაღრმავება“, „განმტკიცევა“). ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დანართი (პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიღწევის კომპონენტი) მოიცავს ინფორმაციას პროგრამის იმ კომპონენტების, ასევე სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპეტენციის მიღწევას და დადასტურებას. ორივე შემთხვევაში მითითებული არის რელევანტური და შეესაბამება პროგრამის სავალდებულო კომპონენტების სპეციფიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი („პროგრამის სსწავლო გეგმა“);
- პროგრამის კურიკულუმი („პროგრამის სწავლის შედეგების რუკა“);
- „ელექტრონიკისა და კომპიუტერულლი ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოიცავს: 1) ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტს, 2) თავისუფალ კომპონენტს. პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს, რაც ნაწილდება პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებულ ყველა კომპონენტზე (სასწავლო კომპონენტი). პროგრამის ორივე კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი ნაწილისაგან. შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ჯამური რაოდენობა აღემატება არჩევითი კომპონენტისთვის განსაზღვრულ მოცულობას, რაც იძლევა არჩევითობის შესაძლებლობას.

პროგრამის 240 კრედიტში მოიაზრება: 1) 199 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები (158 კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომი (12 კრედიტი), არჩევითი სასწავლო კურსები და სპეციალობის პროექტი (სულ 29 კრედიტი); 2) 41 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტი, მათ შორის საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები (20 კრედიტი), არჩევითი სასწავლო კურსები (15 კრედიტი), „თავისუფალი კრედიტები“ (6 კრედიტი).

პროგრამის სტრუქტურა ასახულის პროგრამის სასწავლო გეგმაში, სადაც მითითებულია პროგრამის ყველა კომპონენტის დასახელება, წინაპირობა (არსებობის შემთხვევაში), მოცულობა კრედიტებში და სწავლების სემესტრი. ასევე, პროგრამის კურიკულუმში („პროგრამის საათობრივი გაანგარიშება“) პროგრამის თითოეული კომპონენტისთვის მითითებულია საკონტაქრო და დამოუკიდებელი საათების რაოდებობა და საკონტაქტო საათების სხვადასხვა აქტივობებზე ლექცია/პრაქტიკული, სე-მინარი, გამოცდა და ა.შ.) განაწილების სქემა.პროგრამის სტრუქტურა ლოგიკური და თანმიმდევ-რულია, პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევას სრულად უზრუნველყოფენ პროგრამაში შემავალი დარგობრივი სასწავლო კურსები (ძირითადი და არჩევითი ერთად). მათში აღწერილი სწავლის შედეგები სასწავლო მასალა თანამედროვე და შესაბამისია საგნების შინაარსთან და შედეგებთან.

პროგრამის ყოველი კომპონენტისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა საკმარისია ბაკალავრიატის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისთვის, თუმცა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სრული ზოგადი განათლების საფეხურზე პროგრამის დარგთან დაკავშირებული სწავლება თითქმის არ ხდება, სასურველი იქნებოდა საკონტაქტო საათების რაოდენობის გაზრდა პირველი და მეორე წლის (იხ. პროგრამის სასწავლო გეგმა) შესაბამის დარგობრივ სასწავლო კურსებისთვის, რაც ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების მიღწევადობას.

პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები თემებატურად სრულყოფილია და შეესაბამებიან მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ბაკალავრიატის საფეხურს. ასევე, პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების სწავლის შედეგის ურთიერთმიმართება პროგრამის სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- პროგრამის კურიკულუმი.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა სწავლების პირველი-მეორე წელს გათვალისწინებული დარგობრივი სასწავლო კურსებითვის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის წინაპირობები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. პროგრამის კურიკულუმში მითითებულის თანახმად:

- პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ეროვნულ გამოცდებზე არჩევითი საგნებიდან სავალდებულოა მათემატიკის ან ფიზიკის გამოცდის ჩაბარება.
- ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოსილი პირი აბარებს უნივერსიტეტის მიერ დაწესებულ შიდა გამოცდას მათემატიკაში ან ფიზიკაში.
- პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კურიკულემში მითითებული პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის შესწავლის და დაგეგმილი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი.

რეკომენდაციები:

- არ არის;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში შემავალ დარგობრივი კომპონენტების უმრავლესობაში გამოიყენება ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. საბაკალავრო ნაშრომი ეფუძნება პრაქტიკულ მეთოდებს და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებას რამაც უნდა უზრუნველყოს სტუდენტში ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარება, რომელიც სამომავლოდ დაეხმარება პროექტებში ჩართვაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის შესწავლისას გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები ზოგადად მითითებულია პროგრამის კურიკულუმში და დაკონკრეტებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში (მაგ., ვერბალური მეთოდი, პრეზენტირებისა და დემონსტრირების მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი,

ჯგუფური მუშაობა, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პრაქტიკული მეთოდები, ახსნა–განმარტებითი მეთოდი და სხვ.).
პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში მითითებული სწავლების მეთოდები შეესაბამება განათ-ლების საფეხურს (ბაკალავრიატი) და პროგრამის კომპონენტის სპეციფიკას, არის მრავალფეროვანი და საკმარისი. პროგრამის კომპონენტების შესწავლისას გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;
- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა ზოგადად მითითებულია პროგრამის კურიკულუმში და დაკონკრეტებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში (მითითებულია შეფასების კომპონენტე-ბი, კრიტერიუმები და ქულათა გრადასია).

პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, როგორც შუალედური, ისე დასკვნითი შეფასებებისთვის დადგენილია როგორც მათი ხვედრითი წილი შეფასების მაქსიმალური ქულის ფარგლებში, ისე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის გადალახვა წარმოადგენს აუცილებელ პირობას.

გამოიყენება სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი შეფასებს (სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს) და განმავითარებელი შეფასება (აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით, ამ შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება).

შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც ითვალისწინებს 1) 5 სახის დადებით შეფასებას ((A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა); 2) 2 სახის უარყოფით შეფასებას ((FX) ვერ

ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის კურიკულუმში და სილაბუსებში მითითებული შეფასების სისტემა შეესაბამება კანონმდებლობას. პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში მითითებული შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები შეესაბამება პროგრამის კომპონენტის სფეცისიკას და უზრუნველყოფს დაგეგმილი შედეგების მიღწევის შეფასებას (დადასტურებას). თუმცა რიგ სასწავლო კურსში კრიტერიუმები ზედმეტად დანაწევრებულია და ბიჯი შეადგენს 0.1, რაც 100-ქულიანი შეფასების სისტემის არსებობისას ზედმეტ სირთულეს წარმოადგენს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;
- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია მოხდეს რიგ შეთხვევაში გამოყენებული შეფასების ქულათა ბიჯის „0.1“ გამსხვილება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და

დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☐	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს სულ 39 პირი, საიდანაც 20 (პროგრამის განმახორციელებელთა 51%) არის აკადემიური პერსონალი (10 - პროფესორი, 8 - ასოცირებული პროფესორი, 2 - ასისტენტ-პროფესორი) და 19 (პროგრამის განმახორციელებელთა 49%) არის მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის 30% არის დაწესებულებასთან აფილირებული (სულ 6 აფილირებული აკადემიური თანამდებობის

პირი, მათ შორის 6 - პროფესორი, 0 - ასოცირებული პროფესორი, 0 - ასისტენტ-პროფესორი). პროგრამის ხელმძღვანელია დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი (პროფესორი).

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**20**	**9**	**6**	**6**
- პროფესორი	10	3	3	6
- ასოცირებული პროფესორი	8	6	3	0
- ასისტენტ-პროფესორი	2	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	**19**	**2**	**2**	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

ინფორმაციია პროგრამის განმახორციელებლების შესახებ მითითებულია პროგრამის კურიკულუმში და სილაბუსებში. ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ მითითებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პერსონალის CV-ში.

პროგრამის კომპონენტების სილაბუსების და პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის CV-ის განხილვით დასტურდება, რომ პროგრამის პერსონალს აქვთ პროგრამის განმახორციელებისთვის შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას და მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში (ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ);
- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები (CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია).

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☐	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☐	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☐	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☐	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში): არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ელექტრონიკა და კომპიუტერული ინჟინერია, ბაკალავრიატი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☐	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☐	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - მანანა ხაჩიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა - თამარ გვიანიშვილი